ალლაჰს რომ სათანადოდ მიენდოთ, ის მოგცემდათ საარსებო საშუალებებს ზუსტად ისე, როგორც აძლევს პურს ჩიტს, რომელიც დილას ცარიელი მუცლით გამოდის და საღამოს გამძღარი ბრუნდება

გადმოცემულია უმარ იბნ ალ-ხატტაბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: გავიგონე, რომ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: " ალლაჰს რომ სათანადოდ მიენდოთ, ის მოგცემდათ საარსებო საშუალებებს ზუსტად ისე, როგორც აძლევს პურს ჩიტს, რომელიც დილას ცარიელი მუცლით გამოდის და საღამოს გამძღარი ბრუნდება».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას) მოგვიწოდებს, ვენდოთ ყოვლისშემძლე და დიად ალლაჰს როგორც ამქვეყნიურ, ასევე რელიგიურ საქმეებში სიკეთის მოპოვებასა და ზიანის მოშორებაში. რადგან მხოლოდ ალლაჰს (წმიდა და დიადია იგი) შეუძლია მისცეს და წაართვას, მიაყენოს ზიანი და მოუტანოს სარგებელი. ასევე, მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოგვიწოდებს, რომ მივიღოთ შესაბამისი ზომები, ვაკეთოთ საქმეები, რომელთაც მოაქვს სარგებელი და აფერხებს ზიანს, გულწრფელად ალლაჰზე დაყრდნობით. როცა ასე მოვიქცევით, ალლაჰი მოგვაწვდის საარსებო საშუალებას, როგორც ის აწვდის პურს ჩიტებს, რომლებიც დილით მშიერი ტოვებენ თავიანთ ბუდეებს და საღამოს ბრუნდებიან სავსე მუცლებით. ჩიტების ეს ქმედება არის ერთ-ერთი მაგალითი მიზეზების შექმნისა საარსებო საშუალების მოსაპოვებლად, პასიურობის და ზარმაცობის გარეშე.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/4721